თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2415486

ნომერი: AR1373732

თარიღი : 27.01.2016

გაცემის თარიღი : 03.02.2016

გაცნობის თარიღი : 04.02.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , დიდი დიღომი / ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამუნა წულაძე პ/ნ 31001026097
- თბილისი ს. დიღომი დ.სარაჯიშვილის 1 შეს. N 5

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1373732 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, სოფ. დიღომში, დიდ დიღომში #01.72.14.038.890 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2015 წლის 21 სექტემბერს #2050405 ბრძანებით ქ. თბილისში, სოფელი დიღომი , დიდი დიღომი / ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი, კეძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთისათვის (ს/კ #01.72.14.038.890) დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის.

2015 წლის 31 დეკემბრის #2370480 ბრძანებით ქ. თბილისში, ზემოაღნიშნულ მისამართზე, კეძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.72.14.038.890), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

2015 წლის 29 დეკემბერს #AR1367765 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე კოტე ამაღლობელმა და მოითხოვა ქ. თბილისში, სოფ. დიღომში, რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება, რომლის საფუძველზე სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

ვინაიდან აღნიშნული აქტები სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე (www.tas.ge) ინტერაქტიული რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის ან/და სამსახურის პასუხის ძიებაში #AR1329421, და #AR1359623 განაცხადის ნომრების მითითების შემთხვევაში.

სამსახურის მიერ #2050405 და #2370480 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

ასევე გაცნობებთ, რომ სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით. სამსახურის მიერ 2012-2016 წლების ინფორმაცია გამოტანილია ვებ–გვერდზე (www.tas.ge) და არის საჯარო. ნებისმიერი დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.